საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 945/ი

18 10 2018 წ.

ქ. თბილისი

„რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ოქტომბრის №931/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის სამმართველოს უფროსის 2018 წლის 17 ოქტომბრის №1340635 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ოქტომბრის №931/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რიგგარეშე მობილობით, საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის, აგრეთვე სწავლის საფასურის შესახებ ცენტრში ინფორმაციის წარდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 11 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით;“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი თამარ მახარაშვილი